

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში: საკრებულოს მიერ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ

დღევანდელი ჩემი ანგარიში ერთგვარი შეჯამებაა ჩვენი ერთწლიანი საქმიანობისა, დღეს ჩემთან ერთად გასული წლის საქმიანობაზე თავიანთ ანგარიშს წარმოადგენენ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები კომისიის საქმიანობის შესახებ, გამომდინარე აქედან მე მოკლედ შემოვიფარგლები იმ ძირითადი მიმართულებებზე რაზედაც საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს, კომისიებს, ფრაქციებსა და საკრებულოს აპარატს უწევდა წლის განმავლობაში მუშაობა.

ამ ხნის მანძილზე საკრებულოს ხელმძღვანელობა, საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს თითოეული წევრი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე ვთვლი, რომ განვლილ პერიოდში საკრებულოს საქმიანობა იყო ნაყოფიერი, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა იმ პრობლემებიდან და საკითხებიდან, რომლებიც აწუხებს ჩვენს ამომრჩევლებს.

საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, რასაც განუხრელად ვიცავდით განვლილ საანგარიშო პერიოდში. საკრებულოს კომისიებში და საკრებულოს აპარატში მომზადებული სამართლებრივი აქტები, ძირითადად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ზედამხედველობის სამსახურის შენიშვნები და ხარვეზები ჩვენს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე, ჩვენს მიერ გამხორციელებული მკაცრი კონტროლისა და მოთხოვნის შედეგად ყოველი თვის 10 რიცხვამდე საკრებულოს აპარატში რეგისტრირდება სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების პროექტები, ხოლო მიმდინარე საკითხებზე დამატებით პროექტები შემოტანილი უნდა იქნეს თვის 20 რიცხვამდე, გამონაკლისის წესით დაიშვება საკითხის მიღება ფორს-მაჟორული მდგომარეობის დროს. ამან საშუალება მოგვცა კომისიებს მეტი დრო ქონდეთ საკითხის შესწავლისა და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებისათვის.

გასული წლის განმავლობაში სიახლე იყო საკრებულოს კომისიების ჩატარების პრაქტიკაში, პირველად დაინერგა კომისიების გასვლითი სხდომების ჩატარება და საკითხების განხილვა მოქალაქეების მონაწილეობით, სიახლეა ისიც, რომ მაჟორიტარმა დეპუტატებმა ოფიციალურად დააწესეს კვირაში ერთი დღე (ყოველი კვირის ოთხშაბათი) ამომრჩეველთა ადგილებზე სოფელში მიღებისათვის და დაყენებული საკითხების რეალიზაციის მიზნით თვის განმავლობაში სოფლის მოსახლეობასთან უბნების მიხედვით შეხვედრების მოწყობა, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრები აისახებოდა სხვადასხვა სოციალური ქსელებით საკრებულოს პიარ სამსახურის მიერ.

საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების და საკრებულოს ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატი, რომელიც შესდგება 6 პროფესიული საჯარო მოხელისაგან და დამატებით სხვადასხვა დამხმარე და არამუდმივი ფუნქციების შესრულებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული გვყავს 12 საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად ყოველწლიურად ხდება აპარატის თანამშრომელთა შეფასება წლის შედეგების შესაბამისად, აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასებისათვის საკრებულოს თავმჯდომარის 2019 წლის 5 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული იქნა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები

გასულ 2019 წელში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეფასებებს დაექვემდებარა საკრებულოს აპარატის ექვსივე თანამშრომელი, წლის განმავლობაში ჩატარებული იქნა 2 შუალედური და ერთი

საბოლოო შეფასება, აპარატის უფროსი სპეციალისტების შეფასებას ახდენდა საკრებულოს აპარატის უფროსი, ხოლო აპარატის უფროსის საქმიანობას აფასებდა საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კრიტერიუმები იყო:

- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ცვლილებებისა და სიახლეების უნარი;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- დროის ეფექტური მართვა,
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი.

შეფასება ხდებოდა ოთხდონიანი ქულებით, ხუთივე უფროსმა სპეციალისტმა საბოლოო შეფასებისას მიიღო „კარგი“ შეფასება, ხოლო აპარატის უფროსმა ნოდარ ებანოიძემ 2019 წლის შედეგებით მიიღო შეფასება „საუკეთესო“, რის გამოც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით მას მიენიჭა მოხელის I კლასი.

2020 წლიდან მათი შეფასება იქნება განსხვავებული მეთოდით, კერძოდ შეფასება მოხდება მიზნებისა და შეფასების ინდიკატორების შესაბამისად, რაზედაც მიღებულია საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენი პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიულ განათლების გაუმჯობესებას, მაქსიმალურად ვცდილობთ და ხელს ვუწყობთ მეტ სწავლება-ტრენინგში მიიღონ მონაწილეობა, გაეცნონ სხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოთა მუშაობის პრაქტიკას.

გასულ 2019 წელში აპარატის უფროსმა სპეციალისტმა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში რამდენიმე ასეთ ტრენინგ-სწავლებაში მიიღო მონაწილეობა

როგორც მოგეხსენებათ საკრებულოს აპარატი ძირითადად დაკავებულია საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ფრაქციების, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომების მომზადებით, მათი ჩატარების ორგანიზაციულ-მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით.

განვლილ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს აპარატის მიერ ორგანიზებული და მომზადებული იქნა საკრებულოს **19** და ბიუროს **19** სხდომა. საკრებულოს სხდომებზე განხილული იქნა **108** საკითხი, მათ შორის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული **19** საკითხიდან განხილული იქნა **18**. (**მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ უზრუნველყო 2018 წლის ინვენტარიზაციის ჩატარებაზე ინფორმაციის წარმოდგენა**) მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელთაგან **28** ნორმატიული აქტია დადგენილების სახით, ხოლო **76** გადაწყვეტილება მიღებულია განკარგულებით (4 სხდომაზე დღის წესრიგით განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები). მოწვეული სხდომებიდან რიგ გარეშედ ჩატარდა **7** სხდომა. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია **215** ბრძანება, მათ შორის 68 ბრძანება გამოიცა შვებულების თაობაზე, 26 ბრძანება მივლინების შესახებ, 19 ბრძანება საკრებულოს სხდომების მოწვევის შესახებ, 39 ბრძანება შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, ერთი ბრძანება საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა წახალისების შესახებ, ერთი ბრძანება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების წახალისებაზე, 12 ბრძანება შვებულების გადატანაზე, 10 ბრძანება საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურებაზე, თითო ბრძანება სავადმყოფო ფურცელზე გასვლასა და დაბრუნებაზე, 10 ბრძანება საწვავის ლიმიტის განსაზღვრის თაობაზე, 26 ბრძანება ცვლილებების შესახებ.

გასულ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომის ჩავარდნას ადგილი არ ჰქონია, სხდომაზე გამოტანილი ყველა საკითხი განხილულია და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება. სხდომებზე განხილული იქნა საკითხები, რომლებმაც შემდგომში ასახვა ჰპოვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

საკრებულოს ყველა სხდომა ტარდებოდა ღიად და საჯაროთ, მოსახლეობას ქონდა საშუალება აკონტროლოს საკრებულოს საქმიანობა, საკრებულოში მიმდინარე ყველა პროცესი გამჭვირვალეა, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომები ტარდება ღიად და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება დაესწროს მას. ყველა მოთხოვნა ფიზიკური და იურდიული პირებისაგან საჯარო ინფორმაციის მიღებაზე (სულ წლის განმავლობაში შემოსული იყო 17 ასეთი განცხადება), რომლის მომზადებასა და გაცემაზე პასუხიმგებელია საკრებულოს აპარატი, მიეწოდებოდათ შეუფერხებლად და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

ისევე, როგორც გასულ წლებში საკრებულოს კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს სხდომის მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, დღის წესრიგი და სხდომების ჩატარების ადგილი, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს წევრებს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლიდან ფუნქციონირებას განაახლებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, შეგვეძლება ყველა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის სხდომების მოწვევის თარიღი, ჩატარების დრო, განსახილველი საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მივაწოდოთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვებგვერდის საშუალებით.

ჩვენი საქმიანობის მეტი საჯაროობის, მოქალაქეების ინფორმირებულობისა და ჩვენს საქმიანობაში მეტი ჩართულობის მიზნით, საკრებულოს კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს სხდომების უკეთ მომზადების სხვადასხვა საკითხების და სხდომების მეტი ორგანიზაციულ ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე წლიდან საკრებულოს სამტატო ნუსხაში დავამატეთ ორი სამტატო ერთეული: I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რამდენიმე წინადადებით მინდა შევეხო საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობას:

განვიღო საანგარიშო პერიოდში აპარატის მიერ საკრებულოს კომისიებთან ერთად მომზადდა და ჩატარდა **62** სხდომა, განხილული იქნა **151** საკითხი, მათ შორის ერთი გაერთიანებული(საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიების) სხდომა, განხილული იქნა 2020 წლის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტები. პირველად გასულ წელს საკრებულოს ცალკეულმა კომისიებმა გასვლითი სხდომა ჩატარეს მუნიციპალიტეტის სოფლებში (მაგ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ სხდომა ჩატარა სოფელ საკრალაში, იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიამ სოფელ I ოზჩაში, კულტურის განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ სოფელ დიდველაში). კომისიის გასვლითი სხდომები 2020 წელშიც გაგრძელდება.

1.საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჩატარებული აქვს **13** სხდომა, განხილულია **21** საკითხი, (მათ შორის ერთი გაფართოებული და ერთიც გაერთიანებული).

2.ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიამ ჩატარა **15** სხდომა განიხილა **44** საკითხი (მათ შორის ერთი გაერთიანებული)

3.კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ **9** სხდომაზე განიხილა **24** საკითხი (მათ შორის ერთი გაფართოებული).

4.გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომისას წლის განმავლობაში განხილული აქვს **18** საკითხი, ჩატარა **12** სხდომა (მათ შორის ერთი გაფართოებული და ერთი გასვლითი სხდომა ა.ა.ი.პ. „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და სერვისების გაერთიანება“.).

5.იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის **13** სხდომაზე განხილულია **44** საკითხი.

კომისიების მიერ დაგეგმილი ყველა სხდომა ჩატარებულია, დრის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულია და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება. აპარატის მიერ ყველა

სხდომაზე შედგენილია სათანადო ოქმი, სხდომებზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები ასახულია ოქმებში და მოხდენილია შესაბამისი რეაგირება. საკრებულოს რიგმა კომისიებმა გასულ წელს მოამზადე და ინიცირების წესით საკრებულოს სხდომაზე გამოიტანეს რამდენიმე საკითხი (იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ მომზადებული იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შვესების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად მოამზადა ინიცირება გაუკეთა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების საკითხს, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საქმეთა კომისიის მიერ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად მომზადდა საკითხი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ნარჩენების სეპარირების თაობაზე, რომელსაც ძირითადად განახორციელებენ ამავე საჯარო სკოლის მოსწავლეები, ხოლო სკოლა განთავისუფლდება ნარჩენების გატანის მოსაკრებლისაგან). სერიოზული მუშაობა გასწია წლის განმავლობაში საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ, ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა ცვლილება იყო ფართო აუდიტორიის მსჯელობის საკითხი, სხდომის მუშაობაში ხშირად ღებულობდა მონაწილეობას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები (ა.ა.ი.პ). კომისია სერიოზულად იყო ჩართული 2020 წლის ბიუჯეტის როგორც ფორმირების ასევე, მისი განხილვების პროცესში. კომისიამ უზრუნველყო ბიუჯეტის პროექტის განხილვა, როგორც გასვლით სხდომაზე (სოფ. როხი) ასევე ადგილზე გაფართოებულ ფორმატში. ნაყოფიერი და ნიშანდობლივი იყო გასულ წელს საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიისა და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობა, მათ მიერ მოწყობილი ყველა ღონისძიება იყო მაღალ ორგანიზებული, მაქსიმალური ყურადღება და მხარდაჭერა იქნა გაწეული სოციალურად დაუცველ და ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახების მისამართით.

საკრებულოს კომისიების ერთობლივი საქმიანობის ეფექტურობის მიზნით, გავზარდეთ კომისიათა ერთობლივი სხდომებისა და გაფართოებული სხდომების ჩატარების პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის ორი გაფართოებული და კომისიათა სამი გაერთიანებული სხდომები.

საკრებულოში მოქმედმა პოლიტიკურმა ფრაქციებმა გასულ საანგარიშო პერიოდში გამართეს 10 სხდომა, მათ მიერ განხილულია 11 საკითხი, მათ შორის 3 საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს.

- ფრაქცია „ქართული ოცნება“, გამართა 6 სხდომა განიხილა 7 საკითხი, მათ შორის ერთი საკითხი, მუნიციპალიტეტის ცენტრის გამწვანებისა და დეკორატიული მოწყობის შესახებ, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას წინადადება მოწონებული იქნა და შესაბამისი სამუშაოებიც ჩატარდა.

- ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, გამართა 2 სხდომა, განიხილა 2 საკითხი, მათ შორის ერთი საკითხი: „მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭა-ბურღილების მოწყობის თაობაზე ინიცირების წესით განხილული და მოწონებული იქნა საკრებულოს სხდომაზე და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას.

- ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“, გამართა 2 სხდომა, განიხილა 2 საკითხი. მათ შორის ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიშის განხილვის დროს ფრაქციის მიერ დაყენებული იქნა საკითხი ცენტრისათვის ასიგნებათა გაზრდის თაობაზე და სოფლებში სამედიცინო ამბულატორიებისათვის კომპიუტერების შეძენისა და ინტერნეტის ჩართვის თაობაზე.

საკრებულოს აპარატში გასულ 2019 წელში შემოსული და რეგისტრირებულია 204 სხვადასხვა სახის განცხადება, მომართვა თუ კორექსიონული (გასულ წელს 217). საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოსულია 17 განცხადება და 3 მოქალაქეთა მხრიდან (გასულ წელს 23 განცხადება), 100 -მდე მოქალაქემ

მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს სხვადასხვა საკითხებზე. ყველა შემოსულ დოკუმენტზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება, განმეორებით ერთდა იმავე საკითხზე მომართვას ადგილი არ ჰქონია. გარდა ერთეული შემთხვევისა დოკუმენტის შესრულებაზე ან საკითხის მომზადებაზე ვადების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, საკრებულოს აპარატში მომზადდა და სხვადასხვა დაწესებულებებში გაიგზავნა 193 დოკუმენტი, წერილი, პასუხი. შიდა კორესპოდენციაში შემოსულია 109 დოკუმენტი, მათ შორის: 74 განცხადებაა, 23 მოხსენებითი ბარათი, 4 წერილი და 8 ცნობა..

ჩვენს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, გასულ წელში ჩვენი ერთობლივი მუშაობით მაქსიმალურად შევასრულეთ ყველა ის ვალდებულება, რომელიც გაწერილი იყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, ინფრასტრუქტურული პროექტებით და სოციალური პროგრამებით. მე დეტალურად არ შეუდგები მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ საუბარს, რადგან გასული წლის ნოემბრის თვეში მუნიციპალიტეტის მერმა წარმოადგინა ვრცელი ანგარიში მერიის საქმიანობის შესახებ, მე მოკლედ მოგახსენებთ ძირითად საბოლოო მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის შესრულების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური და კულტურული ღონისძიებების პროგრამების შესრულების თაობაზე.

2019 წლის შედეგების საბოლოო მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საერთო მოცულობამ შეადგინა 14983.9 მილიონი ლარი, რაც 2081.7 მილ. ლარით მეტია 2018 წლის ანალოგიურ მონაცემთან. კიდევ უფრო იმედის მომცემია 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. მიმდინარე წელში საკუთარი შემოსავლების გეგმა შეადგენს 7226.5 მილ. ლარს (გასულ წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 6379.0 მილ. ლარს) , რაც შესრულებადია და ვიმედოვნებთ, რომ წლის ბოლომდე გაიზრდება.

წელს პირველად ბოლო წლებთან შედარებით საშუალება მოგვეცა ყველა ძირითადი ხარჯი : ეს იქნება ა.ა.ი.პ -ის სუფსიდირება, ხელფასები, ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტები(რომლებიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება) სრულად დაგვეფინანსებია და გაგვეწერა საჭირო ხარჯი 12 თვეზე.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებას, სამუშაოს შესრულების ვადებით და ხარისხით, ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გვაქვს რეგიონში, სულ ამ კუთხით გასული წელში რგფ-დან მიღებული გვაქვს 5295.4 მილ. ლარი, ამას ემატება 346.0 ათასი ლარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან და 533.8 ათასი ლარი საჯარო სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმდინარე წლის საწყის ეტაპზე რეგიონალური განვითარების ფონდიდან ლიმიტირებული გვაქვს 3581.63 მილ. ლარი, რაც ძირითადად მოხმარდება გარდამავალ პროექტებს და დავიწყებთ რამდენიმე ახალ პროექტს, ამას ემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან გამოყოფილი 766.0 ათასი ლარი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების რეაბილიტაციისათვის (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა და ა. შ.). ვიმედოვნებთ, რომ წლის განმავლობაში დაფინანსების თანხა გაიზრდება.

დაახლოებით 73.0 ათასი ლარით იზრდება მიმდინარე წელში სოციალური დახმარების პროგრამა. **2020 წლისათვის 500.00 ათასი ლარით დაიგეგმა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (გასულ წელს შეადგენდა 427.0 ათას ლარს) მათ შორის 138.400 ათასი ლარი არის გამოყოფილი საოპერაციო ხარჯებისა და მედიკამენტებით დახმარების თანხების დასაფინანსებლად, ხოლო 50.0 ათასი ლარი შეჭირვებული ოჯახების თანადგომისათვის.. თანხების გაზრდამ საშუალება მოგვა დამატებითი ქვეპროგრამები გაგვეხორციელებინა სოციალურად დაუცველი ჩენი მოქალაქეების მისამართით. როგორც მოგეხსენებათ გასული წლის საკრებულოს სხდომაზე, საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა, როგორც**

სოციალური პროგრამა 2020 წლისათვის ასევე დავამტკიცეთ 2020-2024 წლების სოციალური დოკუმენტი, რომელიც მომზადებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურისა და საკრებულოს შესაბამისი კომისიის ერთობლივი მუშაობით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ყოფითი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

2020 წლის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების მატებამ საშუალება მოგვცა გაგვეზარდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება

ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების **ურთიერთობა საქართველოს პარლამენტის წევრთან**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან, მისი როგორც მთის საბჭოს წევრის აქტიურობით, დღეს სოფელი ხანი და მისი მაცხოვრებლები ფლობენ მთის სტატუსს, რამაც დამატებითი დაფინანსება მოუტანა სოფელს. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა ამ სოფელში ამ კუთხით, დასრულდა სოფელში მისასვლელი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, სოფლის ყველა შიდა საუბნო გზაზე დაიგო ბეტონის საფარი. მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მუშაობა გრძელდება, რათა სოფლებმა ზეგანმა და საკრულამ მიიღოს ეს სტატუსი.

საკრებულოს საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება **მაჟორიტარი დეპუტატების** საქმიანობას. მინდა ავღნიშნო, რომ საკრებულოში არჩეულია 14 მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებიც რეალურად ფლობენ სოფლებში არსებულ პრობლემებს, აქტიურად არიან ჩართული ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძიებაში. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მიღებული თანხებით, სოფელ როხში მოეწყო კულტურის ცენტრი, ბევრ სოფელში მოეწყო გარე განათებები, ღვარსადენები, ცხაურები და ა.შ.

მაჟორიტარი დეპუტატების მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლის შედეგია, ის, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი რომელიც დაწყებული იქნა 2019 წელში დამთავრებულია ან დამთავრების სტადიაშია და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დასრულდება. აქტიურად მიმდინარებს მუშაობა მიმდინარე წელში „ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოების შერჩევისა და დროულად დაწყებისათვის. დაპირებისამებრ სოფელ წყალთაშუაში დაიწყო და გრძელდება მოსახლეობაში ბუნებრივი აირის შეყვანა, ვმუშაობთ მაღალმთიან ზონაში მოსახლეობის გაზიფიცირების საკითხებზე.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატების წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში. ყოველი მათგანი ზუსტად ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოფით ცხოვრებაზე.

მინდა რამდენიმე სიტყვით შევებო მიმდინარე 2020 წელს, რომელიც არის ძალზედ მნიშვნელოვანი წელი ჩვენი გუნდისათვის, გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად უნდა შევასრულოთ ის ვალდებულებები, რომელიც 2020 წლის ბიუჯეტით, ინფრასტრუქტურული პროექტებით და სოციალური პროგრამებით, არის გაწერილი, როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენლები განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ მომავალი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის, რადგან ვდგევართ დიდი გამოწვევების წინაშე, როგორც პოლიტიკურ ორბიტაზე, ასევე ეკონომიკური მიმართულებით. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ მთავრობის მიერ დაანონსებული წამოწყებები, პენსიების მატების, სხვადასხვა სფეროში (სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში და ა.შ.) ხელფასების მატებით, ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში და სხვადასხვა სოციალური პროგრამები, რომელთა განხორციელებას გეგმავს ხელისუფლება მიმდინარე და მომდევნო წლებში მივიტანოთ ჩვენს ამომრჩევლებამდე, ამასთან უნდა შევქმნათ ისეთი საარჩევნო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს ამომრჩეველს თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება, ხოლო საარჩევნო სუბიექტებმა თანაბარ კონკურენტუნარიან გარემოში წარმართონ წინა საარჩევნო კამპანია

და ბოლოს,

მინდა მადლობა გადაუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა წევრს, საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს, საკრებულოს აპარატს, ნაყოფიერი საქმიანობისა და თანამშრომლობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობას კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

შალვა მშვილდაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე